№1174 2015 წლის 4 ივნისი ქ. თბილისი

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს მიმართ შპს „ენგურჰესის“ ფინანსური ვალდებულებების შესახებ

1. მიღებულ იქნეს ცნობად საქართველოს ფინანსთა სამინისტროს ინფორმაცია ვარდნილისა და ენგურის ჰიდროელექტროსადგურების რეაბილიტაციის პროექტებთან დაკავშირებით 2010 წლის 27 აგვისტოს და 2011 წლის 20 ივლისს საქართველოს ფინანსთა სამინისტროსა (როგორც სესხის გამცემი) და შპს „ენგურჰესს“ (როგორც სესხის მიმღები) შორის გაფორმებული ქვესასესხო და გადასესხების და პროექტის განხორციელების ხელშეკრულებებით გათვალისწინებული ყოველი წლის პირველი გადახდის თარიღების შეცვლასთან დაკავშირებით.

2. საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ გაითვალისწინოს შპს „ენგურჰესის“ წინადადება ვარდნილისა და ენგურის ჰიდროელექტროსადგურების რეაბილიტაციის პროექტებთან დაკავშირებით 2010 წლის 27 აგვისტოს და 2011 წლის 20 ივლისს საქართველოს ფინანსთა სამინისტროსა (როგორც სესხის გამცემი) და შპს „ენგურჰესს“ (როგორც სესხის მიმღები) შორის გაფორმებული ქვესასესხო და გადასესხების და პროექტის განხორციელების ხელშეკრულებებით გათვალისწინებული ყოველი წლის პირველი გადახდის თარიღების 25 ივლისით შეცვლის თაობაზე.

პრემიერ-მინისტრი **ირაკლი ღარიბაშვილი**